

შპს ბიდიო აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ამონაგები	9
5. გაყიდვების თვითღირებულება.....	9
6. კომერციული ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები).....	9
9. ინვესტიციები.....	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. არამატერიალური აქტივები	10
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12
18. პირობითი ვალდებულებები.....	12
19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	13

შპს ბიდიო აუდიტი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	8,907,015	19,454,086
გაყიდვების თვითღირებულება	5	(5,658,523)	(11,422,558)
საერთო მოგება		3,248,492	8,031,528
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		(300,705)	413,085
კომერციული ხარჯები	6	(150,168)	(715,139)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,042,310)	(3,804,070)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	13	(18,696)	(151,013)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	30,043	592,316
მოგება დაბეგვრამდე		766,656	4,366,708
მოგების გადასახადის ხარჯი		(341,292)	(295,870)
წლის მთლიანი სრული მოგება		425,364	4,070,838

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 15 მარტს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი _____ ზურაბ ლალაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ შორენა ბუაძე

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო აუდიტი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	9	45,250	45,250
ძირითადი საშუალებები	10	5,926	425,044
არამატერიალური აქტივები	11	34,858	143,015
		86,034	613,309
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	1,490	427,504
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	3,830,204	5,916,156
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	3,142,801	4,656,738
		6,974,495	11,000,398
სულ აქტივები		7,060,529	11,613,707
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,435,239	2,941,816
გადასახდელი დივიდენდები		1,575,548	2,299,031
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,010,787	5,240,847
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000
რეზერვები		-	535,362
გაუნაწილებელი მოგება		4,017,742	5,805,498
სულ საკუთარი კაპიტალი		4,049,742	6,372,860
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,060,529	11,613,707

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო აუდიტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	32,000	4,096,189	535,365	4,663,554
წლის მთლიანი სრული მოგება	-	4,070,838	-	4,070,838
დივიდენდი	-	(2,361,530)	-	(2,361,530)
2020 წლის 31 დეკემბერი	32,000	5,805,498	535,365	6,372,860
წლის მთლიანი სრული მოგება	-	425,365	-	425,365
დივიდენდი	-	(1,575,550)	-	(1,575,550)
ჯგუფის რეორგანიზაციის ეფექტი (შენიშვნა 1)	-	(637,571)	(535,365)	(1,172,933)
2021 წლის 31 დეკემბერი	32,000	4,017,742	-	4,049,742

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო აუდიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	766,656	4,366,707
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(30,044)	(592,316)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	(29,143)	23,813
საექვო ვალების ხარჯი / (შემოსავალი)	18,696	151,013
ცვეთა და ამორტიზაცია	183,980	361,006
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	910,145	4,310,222
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	426,014	242,933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	2,067,256	(1,512,183)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	(1,506,577)	(219,154)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,896,838	2,821,818
გადახდილი მოგების გადასახადი	(341,292)	(295,589)
მიღებული პროცენტები	119,595	187,859
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,675,141	2,713,807
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(86,066)	(139,048)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	453,960	2,682
არამატერიალური აქტივების შეძენა	(46,813)	(123,919)
შვილობილი კომპანიების ჯგუფიდან გასვლის ეფექტი	(1,121,577)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	(800,496)	(260,285)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორების შენატანი	-	25,000
გადახდილი დივიდენდები	(2,299,031)	(2,070,570)
მიღებული / (გადახდილი) სესხები		-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2,299,031)	(2,045,570)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(1,424,386)	407,952
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,656,738	3,844,329
საკურსო სხვაობის ეფექტი	(89,551)	404,458
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,142,801	4,656,738

შპს ბიდიო აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო აუდიტი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205145403) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსდა 1999 წელს, ხოლო ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 2016 წელს). კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ძირითადი საქმიანობაა მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება.

2021 წლის აპრილში მოხდა ჯგუფის რეორგანიზაცია, შპს ბიდიო აუდიტის მფლობელებმა დააფუძნეს ახალი სათაო საწარმო - შპს ბიდიო საქართველო, რომელიც გახდა კომპანიის 100%-იანი მფლობელი, ხოლო შპს ბიდიო აუდიტის შვილობილი საწარმოები გადაეცა ახალ სათაო საწარმოს - შპს ბიდიო საქართველოს. აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად არ შეცვლილა შპს ბიდიო აუდიტის საბოლოო მფლობელები და კომპანიიდან შვილობილი საწარმოების გასვლის ეფექტი აისახა პირდაპირ კაპიტალში.

2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მესაკუთრეები წარმოდგენილია ცხრილში:

მესაკუთრეები	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ზურაბ ლალაზაშვილი	-	36.00
ლევან მკლავიშვილი	-	36.00
ივანე ჟუჟუნაშვილი	-	9.00
მიხეილ ენუქიძე	-	9.00
ქეთევან ზარიძე	-	5.00
დავით გელაშვილი	-	2.50
ვლადიმერ ხრიკაძე	-	2.50
შპს ბიდიო საქართველო	100	-
	100	100

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოიცავს მშობელი საწარმოსა და პარტნიორის ცვლილებამდე სრულ საკუთრებაში მყოფი ხუთი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოიცავს ბიდიო აუდიტის და მისი შვილობილი კომპანიების ანგარიშგებებს ქვემოთ მითითებული პერიოდების ჩათვლით:

შვილობილი კომპანია	31.12.2021	31.12.2020	საქმიანობის სფერო	ჯგუფში შემოსვლის თარიღი
შპს ბიდიო ლეგალ	-	100%	იურიდიული მომსახურება	28.09.2017
შპს ბიდიო დიჯიტალ (ყოფილი შპს ბიდიო სოლუშენს)	-	100%	საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურება	29.01.2016
შპს ბიდიო კონსალტინგი (ყოფილი შპს ბიდიო აკადემია)	-	100%	ტრენინგები და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება	12.07.2007
შპს ბიდიო ეიჩარ ენდ ფეიროლ	-	100%	ბიზნეს კონსულტაციები და აუთსორსინგი	04.12.2015
შპს ბიდიო სტარტაპ ფონდი	-	-	ტექნოლოგიური სტარტაპების მოძიება	09.03.2021

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული ჯგუფს ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

შპს ბიდიო აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ამონაგები

	2021	2020
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	5,803,896	6,121,959
სხვა საკონსულტაციო მომსახურება	3,103,119	13,332,127
	8,907,015	19,454,086

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2021	2020
დანახარჯები პერსონალზე	(4,706,034)	(9,224,800)
სხვა პირდაპირი ხარჯები	(952,489)	(2,197,758)
	(5,658,523)	(11,422,558)

6. კომერციული ხარჯები

	2021	2020
დანახარჯები პერსონალზე	(123,079)	(325,553)
სხვა კომერციული ხარჯები	(27,089)	(389,585)
	(150,168)	(715,139)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
დანახარჯები პერსონალზე	(734,813)	(1,309,096)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,307,497)	(2,494,974)
	(2,042,310)	(3,804,070)

8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)

	2021	2020
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)	119,595	187,859
წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) სავალუტო ოპერაციებიდან	(89,551)	391,823
	30,043	579,682

9. ინვესტიციები

2016 წელს კომპანიამ შეიძინა ჰოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი. ინვესტიცია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება თვითღირებულებით.

შპს ბიდიო აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავტო და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,056,423	510,970	56,660	1,624,053
შემენა	136,115	2,930	-	139,045
გასვლა	(63,749)	(1,679)	-	(65,428)
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	1,128,789	512,221	56,660	1,697,670
შემენა	86,065	-	-	86,065
ჯგუფის რეორგანიზაციის ეფექტი	(94,495)	(114,179)	-	(208,674)
გასვლა და ჩამოწერა	(1,068,118)	(398,042)	(56,660)	(1,522,820)
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	52,241	-	-	52,241
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	(620,465)	(385,949)	(46,548)	(1,052,962)
2020 წლის ცვეთა	(196,721)	(55,137)	(6,742)	(258,600)
2020 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	37,400	1,536	-	38,936
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბერს	(779,786)	(439,550)	(53,290)	(1,272,626)
2021 წლის ცვეთა	(53,180)	(13,909)	(3,370)	(70,459)
ჯგუფის რეორგანიზაციის ეფექტი	93,218	105,550	-	198,768
2021 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	693,433	347,909	56,660	1,098,002
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერს	(46,315)	-	-	(46,315)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერს	435,958	125,021	10,112	571,091
2020 წლის 31 დეკემბერს	349,003	72,671	3,370	425,044
2021 წლის 31 დეკემბერს	5,926	-	-	5,926

11. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამა ბალანსისა და სხვა ლიცენზიებისგან. არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა 1-დან 3 წლამდეა.

არამატერიალური აქტივების 2021 წლის ცვეთა 113,511 ლარი, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება 34,858 ლარია.

შპს ბიდიო აუდიტი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2021	2020
პროგრამული პროდუქტები	-	407,145
სხვა მარაგები	1,490	20,359
	1,490	427,504

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	3,026,597	5,206,557
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(58,228)	(249,481)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	27,279
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	155,728	284,298
სხვა მოთხოვნები	706,107	647,502
	3,830,204	5,916,155

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2021	2020
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(249,481)	(169,314)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	64,775	19,310
აღდგენილი რეზერვები	2,033	16,876
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(11,325)	(116,352)
ჯგუფის რეორგანიზაციის ეფექტი	135,770	-
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(58,227)	(249,481)
ჩამოწერილი მოთხოვნები	(5,598)	(54,226)
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალები	-	2,689
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	(18,696)	(151,013)
პერიოდის საექვო ვალების ხარჯები	(20,778)	(170,579)
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალების ამოღებით	2,080	19,566

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	2,060,432	3,536,602
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1,082,369	1,120,136
	3,142,801	4,656,738

ფული რეზიდენტ ბანკში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

შპს ბიდიო აუდიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	734,142	331,504
მიღებული ავანსები	520,418	940,101
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	180,679	1,162,285
გადასახდელი გადასახადები	-	507,925
	1,435,239	2,941,816

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		101,634	2,042,310
დანახარჯები პერსონალზე	პარტნიორი/მმართველი გუნდის წევრი	101,634	

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ კომპანიებზეც, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალ ფინანსურ რესურსზე წვდომაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანია ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები.

18. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

აპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0037	4.4529

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ

ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს

თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს ბიდიო აუდიტი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	4	8,907,015	19,454,086
გაყიდვების თვითღირებულება	5	(5,658,523)	(11,422,558)
საერთო მოგება		3,248,492	8,031,528
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		(300,705)	413,085
კომერციული ხარჯები	6	(150,168)	(715,139)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,042,310)	(3,804,070)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	13	(18,696)	(151,013)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	30,043	592,316
მოგება დაბეგვრამდე		766,656	4,366,708
მოგების გადასახადის ხარჯი		(341,292)	(295,870)
წლის მთლიანი სრული მოგება		425,364	4,070,838

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 15 მარტს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი

ზურაბ ლალაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შორენა ბუაძე

7 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.